სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 07

2018 წ. "16" 08

ქ.თბილისი

შპს წმინდა ბარბარეს სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2018 წლის 10 აგვისტოს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს წმინდა ბარბარეს სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის № 996390) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის № 46 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლისთვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჩივრის მიღების საკითხი. გაეცნო წარმოდგენილ მასალებს. მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26^3 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^4 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს წმინდა ბარბარეს სახელობის № 996390 სააპელაციო საჩივარი.

2.დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისთვის გაცნობის უზრუნველყოფა.

3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე 12 კმ. № 6.

თავმჯდომარე

ნინო ოკრიბელაშვილი